

შპს „საბა ტექნიკს“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	7
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8
7. საკუთრო ზარალი	8
8. ძირითადი საშუალებები	9
9. სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
11. საგადასახადო აქტივი	10
12. ფული და ფულის ექვივალენტები	10
13. ფინანსური იჯარის ვალდებულებები	11
14. მოკლევადიანი სესხები	11
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11

შპს "საბა ტექნიკს"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2020	2019
	შენიშვნები	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	4,913,581	2,037,916
თვითღირებულება	5	(3,462,285)	(460,322)
საერთო მოგება		1,451,296	1,577,594
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,957,192)	(2,301,172)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)		(39,337)	106,223
საოპერაციო ზარალი		(545,233)	(617,355)
ფინანსური ხარჯი		(139,450)	(183,997)
საკუროსო ზარალი	7	(3,855)	(66,001)
ზარალი დაბეგვრამდე		(688,538)	(867,353)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(688,538)	(867,353)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:


 კონსტანტინე ოქროშვილი
 დირექტორი



შპს "საბა ტექნიკს"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2020	2019
	შენიშვნები	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	4,913,581	2,037,916
თვითღირებულება	5	(3,462,285)	(460,322)
საერთო მოგება		1,451,296	1,577,594
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,957,192)	(2,301,172)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)		(39,337)	106,223
საოპერაციო ზარალი		(545,233)	(617,355)
ფინანსური ხარჯი		(139,450)	(183,997)
საკურსო ზარალი	7	(3,855)	(66,001)
ზარალი დაბეგვრამდე		(688,538)	(867,353)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(688,538)	(867,353)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

კონსტანტინე ოქრუაშვილი
დირექტორი

შპს “საბა ტექნიკს”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტირებული)	2019 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	8	1,931,615	2,947,860
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,931,615	2,947,860
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	391,589	-
საგადასახადო აქტივი	10	40,355	74,168
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,804,765	1,283,436
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	-	17,031
სულ მიმდინარე აქტივები		2,236,709	1,374,635
სულ აქტივები		4,168,324	4,322,495
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		187,172	187,172
დაუფარავი ზარალი		(1,815,062)	(1,126,526)
სულ კაპიტალი		(1,627,890)	(939,354)
ფინანსური იჯარის ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	13	357,046	886,074
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		357,046	886,074
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	14	1,935,641	2,035,641
სავაჭრო ვალდებულებები	15	3,503,528	2,340,134
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,439,169	4,375,775
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,168,324	4,322,495

შპს “საბა ტექნიკისი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2019 (არააუდიტირებული)		187,172	(245,147)	(57,975)
სხვა ცვლილებები		-	(14,025)	(14,025)
მიმდინარე წლის მოგება		-	(867,353)	(867,353)
31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)		187,172	(1,126,525)	(939,353)
მიმდინარე წლის მოგება		-	(688,538)	(688,538)
31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)		187,172	(1,815,063)	(1,627,891)

შპს “საბა ტექნიკისი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

საბა ტექნიკისი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2013 წლის 5 ნოემბერს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400104098.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკით მომსახურება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გრიგოლ ხანძთელის ქ.(ზაჰესი), N 4.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა შპს საბა ინვესტი (400269044).

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქარველოს ეროვნული ბანკის ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვის აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სამშენებლო აღჭურვილობა	5

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღირიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღირიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები

რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	3,813,559	-
ტექნიკის ქირავნობიდან შემოსავალი	966,259	1,949,364
სატრანსპორტო მომსახურებიდან შემოსავალი	76,534	20,288
სასაწყობო და საოფისე ფართის იჯარა	24,448	48,896
ბეტონშენი მანქანებით მომსახურება	24,187	-
სხვა შემოსავალი	8,594	19,368
სულ	4,913,581	2,037,916

შპს “საბა ტექნიკისი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,016,245)	(1,265,323)
შრომის ანაზღაურება	(766,944)	(883,738)
ფინანსური იჯარის ხარჯი	(59,139)	(98,025)
კომუნალური ხარჯები	(16,858)	(8,650)
საპენსიო ხარჯი	(12,383)	(13,189)
ტექნიკით მომსახურების ხარჯი	(70,826)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(6,398)	(27,713)
ბანკის საკომისიო	(2,413)	(3,055)
სხვა ხარჯი	(5,986)	(1,479)
სულ	(1,957,192)	(2,301,172)

7. საკურსო ზარალი

2020 წლის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	-	(4,643)	-	(4,643)
უარყოფითი საკურსო ეფექტი	727	61	-	788
წმინდა საკურსო ზარალი	727	(4,582)	-	(3,855)

2019 წლის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	(8)	(82)	(71,657)	(71,747)
უარყოფითი საკურსო ეფექტი	-	5,746	-	5,746
წმინდა საკურსო ზარალი	(8)	5,663	(71,657)	(66,001)

შპს “საბა ტექნიკი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობა	სამშენებლო მანქანა- დანადგარები	სამშენებლო აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	სხვა	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	321,672	133,952	3,698,480	45,865	1,282,021	21,404	5,503,394
შემოსვლა	-	-	942,998	-	31,092	-	974,090
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	321,672	133,952	4,641,479	45,865	1,313,113	21,404	6,477,484
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	321,672	133,952	4,641,479	45,865	1,313,113	21,404	6,477,484
დაგროვილი ცვეთა							
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(14,331)	(1,772,361)	(21,259)	(531,244)	(16,343)	(2,355,539)
ცვეთის ხარჯი	-	(6,698)	(894,004)	(8,682)	(263,280)	(1,421)	(1,174,085)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(21,029)	(2,666,365)	(29,941)	(794,524)	(17,765)	(3,529,624)
ცვეთის ხარჯი	-	(6,716)	(764,719)	(7,357)	(236,959)	(494)	(1,016,245)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(27,745)	(3,431,084)	(37,298)	(1,031,483)	(18,259)	(4,545,868)
საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	321,672	119,621	1,926,119	24,606	750,776	5,061	3,147,855
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	321,672	112,923	1,975,113	15,924	518,589	3,639	2,947,860
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	321,672	106,207	1,210,394	8,567	281,630	3,145	1,931,615

შპს “საბა ტექნიკისი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალები	379,458	-
სამშენებლო მასალები	11,542	-
სხვადასხვა მარაგები	588	-
	391,589	-

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები საწარმოს პესონალის მიმართ	954,227	1,175,940
სავაჭრო მოთხოვნები	685,533	63,223
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	165,005	44,274
სულ	1,804,765	1,283,436

11. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	17,031
სულ	-	17,031

შპს “საბა ტექნიკისი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	420,535
ფინანსური იჯარის მოკლევადიანი ნაწილი	357,046	465,540
სულ	357,046	886,074

ფინანსური იჯარის ვალდებულების რეკონსილაცია წლების მიხედვით შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	886,074	587,383
ვალდებულების ზრდა	-	922,708
ვალდებულების დაფარვა	(809,864)	(1,114,246)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	118,512	172,059
გადაფასება	-	67,723
სხვა ხარჯი	162,324	250,447
ნაშთი პერიოდის ბოლოს	357,046	886,074

14. მოკლევადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი სესხები	1,510,641	1,610,641
სესხები პარტნიორებისგან	425,000	425,000
სულ	1,935,641	2,035,641

მიღებული სესხების რეკონსილაცია წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	2,035,641	1,935,641
სესხის აღება	100,000	166,315
სესხის დაფარვა	(220,939)	(75,419)
დარიცხული პროცენტი	20,939	9,104
31 დეკემბერი	1,935,641	2,035,641

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	2,914,127	113,311
მიღებული ავანსები	486,230	2,142,140
გადასახდელი ხელფასები	86,274	67,069
სავაჭრო ვალდებულებები (უცხოური ვალუტა)	16,758	16,748
ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	138	856
სულ	3,503,528	2,295,914